46–ე, ტური მეჩვიდმეტე

“მეტალისტი” (ხარკოვი) – “დინამო” (თბილისი) 4:3 (1:1).

ხარკოვი. “მეტალისტის” სტადიონი. 5 ივლისი.

“მეტალისტი”: ხივუხა, მოტუზი, პოტოჩნიაკი, კუზნეცოვი, კამარზაევი, ბერნიკოვი, გორბიკი (კოსოლაპოვი), სუსლო, ლინკე, სააკოვი (იაკუბოვსკი), ტარასოვი.

“დინამო”: კუცია, დანელია, ჩივაძე, კერესელიძე (გოგრიჭიანი), ჟიბა, ჯოხაძე, სვანაძე (კაკილაშვილი), სულაქველიძე, ჟორჟიკაშვილი, ცაავა, შენგელია.

მსაჯი: ო. ჩინენოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 0:1. ბურთი გაიტანა კაკილაშვილმა.

დასაწყისში ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, სახიფათო მომენტები კარგა ხანს არ შექმნილა არც ერთ კართან. შემდეგ, 32–ე წუთზე, დინამოელთა მიერ გათამაშებული კომბინაციის დასასრულს ხარკოველთა კართან ღია პოზიციაში აღმოჩნდა შენგელია, რომელმაც გახსნა კიდეც ანგარიში.

მიმდინარეობდა ტაიმის ბოლო წუთი, როცა სტუმრების მხარეს დაინიშნა საჯარიმო. მოტუზმა ჩააწოდა კარის წინ, აქ ყველას დაასწრო კამარზაევმა და გაათანაბრა ანგარიში – 1:1.

შესვენების შემდეგ თამაშის ტემპმა საგრძნობლად იმატა, გამწვავდა მდგომარეობა ორივე კართან და 54–ე წუთზე მოტუზმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი – 2:1.

თბილისელებმა მარცხს ხშირი, გაძლიერებული იერიშებით უპასუხეს, მინდორზე გამოვიდა თავდამსხმელი გოგრიჭიანი, “მეტალისტის” კართან მეტად სახიფათო მომენტები შექმნეს სულაქველიძემ, ცაავამ, შენგელიამ ჟორჟიკაშვილმა, მაგრამ სწორედ ამ პერიოდში, 70–ე წუთზე, ხარკოველებმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს და ტარასოვმა კარგად ისარგებლა ხელსაყრელი მდგომარეობით – 3:1.

ამ მეტად ძნელ ვითარებაში დინამოელებმა აქტიურად იბრძოლეს, ჯერ გოგრიჭიანმა მეორე საპასუხო ბურთი გაიტანა 74–ე წუთზე, შემდეგ ჩივაძე–სულაქველიძე–შენგელიას კომბინაცია მესამე გოლით დამთავრდა, მაგრამ თბილისელებმა საბოლოოდ მაინც ვერ შეძლეს ანგარიშის შენარჩუნება: 88–ე წუთზე ლინკემ გადამწყვეტი, მეოთხე ბურთი გაიტანა სტუმრების კარში და გამარჯვებაც ხარკოველებს დარჩათ.

“ლელო”, 7 ივლისი, 1983 წ.